განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ეკონომიკა/Economics**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ეკონომიკის მაგისტრი/MASTER OF ECONOMICS **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ეკონომიკაში/RESEARCH MASTER OF ECONOMICS
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი, ნათელა წიკლაშვილი Natia.tsiklashvili@bsu.edu.ge ასოცირებული პროფესორი, მურმან ცეცხლაძე Murman.tsetskhladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი:** ✓ მისცეს სტუდენტებს ღრმა თეორიული ცოდნა, ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებების, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის შესახებ მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; ✓ ეკონომიკური პოლიტიკის კონცენტრაციის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს რაციონალური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ტექნოლოგია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების და სამეწარმეო გარემოს განვითარების სტრატეგიების შესამუშავებლად.; ✓ მაკროეკონომიკის კონცენტრაციის მიზანია სიღრმისეულად შეასწავლოს თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ძირითადი საკითხები, მაკროეკონომიკური მოდელები სტაბილიზაციისა და საერთო ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველსაყოფად;

	✓ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს მიკროეკონომიკის თეორიის თანამედროვე მიღწევები, ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას. **მეორე ნაწილი:** ✓ ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ანალიტიკური ეკონომიკური აზროვნება, შეასწავლოს მათ ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისა და სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში; ✓ ჩამოუყალიბოს ეკონომიკური პროცესების, პოლიტიკისა და ბაზრების სიღრმისეული ანალიზის, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების უნარი. შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით (ეკონომიკური და სტატისტიკური კვლევა, ეკონომეტრიკა,) მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის და ეფექტური რეკომენდაციების შემუშავებისთვის სამეცნიერო კვლევების განხორციელება .
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს: ✓ აქვს ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ინსტრუმენტების ღრმა და სისტემური ცოდნა; ✓ შეუძლია ცოდნის ინტეგრირება საერთაშორისო ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით, გლობალიზაციის პირობებში წარმოშობილი საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების და მათი რეგულირების მექანიზმების ანალიზი; ✓ პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას პატივს სცემს საკუთარი და სხვების დამოკიდებულებებს ღირებულებებისადმი; უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით იმაღლებს ცოდნას დამოუკიდებლად. **კონცენტრაცია - ეკონომიკური პოლიტიკა** ✓ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე შეუძლია საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზი და სახელმწიფოს/რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ცვლილებების მიზეზების ახსნა, მათზე მოქმედი ფაქტორების დადგენა; ✓ ეკონომიკური დიპლომატიის სფეროში არსებული გამოცდილების გამოყენებით, აანალიზებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოქმნილ პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს საერთაშორისო ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით. **კონცენტრაცია - მაკროეკონომიკა** ✓ შეუძლია ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თვისობრივი და რაოდენობრივ შეფასება; მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გზების განსაზღვრა;

	✓ შეუძლია თანამედროვე ეკონომიკური თეორიების გამოყენებით ღია ეკონომიკაში ეკონომიკური პროცესების ანალიზი. **კონცენტრაცია - მენეჯერული ეკონომიკა** ✓ შეუძლია გაანალიზოს ფირმის წარმოების მოცულობას, დანახარჯსა და მოგებას შორის ურთიერთმიმართება; მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და გამოკვეთოს მისი გადაწყვეტის გზა; ✓ შეუძლია ახსნას მენეჯერული გადაწყვეტილებები კონკურენტულ ბაზრებზე და ფასდადების პრაქტიკა საბაზრო ძალაუფლების მქონე ბაზრებზე. შეარჩიოს ანალიზის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება ოპტიმალური ბიზნეს გადაწყვეტილებების მიმღებებს. **მეორე ნაწილი:** ✓ შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს, შეასრულოს და შეაფასოს ეკონომიკური კვლევები თანამედროვე მეთოდების (ეკონომიკური და სტატისტიკური კვლევა, ეკონომეტრიკა,) გამოყენებით; ✓ შეუძლია კომპლექსური მონაცემების დამუშავება, მათი კრიტიკულ ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა და აკადემიური ან პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება; ✓ შეუძლია კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი წარმოჩენაის საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების მიხედვით, დაიცვას ეთიკური ნორმები და შექმნას საფუძველი შემდგომი კვლევებისთვის.